

სამაგისტრო ნაშრომი: ონლაინ გაყიდვების ბიზნესის განვითარების
საერთაშორისო ტენდენციები და მისი გავლენა საქართველოს
სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებაზე

მარიამ ყაჯრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე*

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ბორის გითოლენდია, ბიზნესის
ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ყაჯრიშვილი

30.01.2021

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი განიხილავს ონლაინ გაყიდვების ბიზნესის განვითარების საერთაშორისო ტენდენციებს, მის ქართულ თავისებურებებს და ბიზნესის ამ ტიპის ზეგავლენას საქართველოს სატრანზიტო დერეფანის ფუნქციონირებაზე, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაზე. ნაშრომში განხილულია ონლაინ ვაჭრობის საწარმოო მართვის პრინციპები და მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები. მოკლე ჩანართის სახით, აქტუალობის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ონლაინ ვაჭრობის ბიზნესზე და მის შედეგებზე, კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენის მასშტაბების ზოგადი ანალიზი. ბუნებრივია, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, როგორც ძირითადი საწარმოო პროცესი, დიდი დოზით არის ჩართული ონლაინ ვაჭრობის ბიზნესის საწარმოო ციკლში და ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სიმძლავრეს ამ ბიზნესის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის, კვლევაში წარმოდგენილია ინფორმაცია ონლაინ გაყიდვების ბიზნესში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის მნიშვნელობის და მისი მართვის პრინციპების შესახებ და ის განხილულია, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის კრილში. შესაბამისად, ნაშრომში ვრცლად არის წარმოდგენილი საქართველოს სატრანზიტო დერეფანის ფუნქციონირებაზე ონლაინ ვაჭრობის მასშტაბების გავლენის შესახებ შესატყვისი დასკვნები.

საძიებო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, ონლაინ ბაზარი, ონლაინ პლატფორმა, ლოჯისტიკა, ტრანსპორტი, მართვა, სატრანზიტო დერეფანი.

Abstract

This study discusses the international trends in online sales business development, its Georgian peculiarities and the impact of this type of business on the functioning of the Georgian transit corridor as one of the main directions of sustainable economic development of the country. The paper discusses the principles of industrial management of online trade and the modern challenges of management. The impact of the Covid 19 pandemic on the online trading business and its consequences is presented as a brief summary. Obviously, transport and logistics, as the main production process, are involved in the production cycle of the online trade business to a large extent and it is one of the main capacities for the perfect functioning of this business. It is discussed in the context of Georgia's transit function. Accordingly, the study presents relevant conclusions of the online trade impact on the functioning of the Georgian transit corridor.

Keywords: E-commerce, Online Platform, Online marketplace, Logistics, Transport, Management, Transit Corridor.